მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე

თარიღი:	**2019 წლის 06 მარტი**
სესხის No. და დასახელება:	**სესხი # 3441-GEO**: საქართველო, ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6
კონტრაქტის No. და დასახელება:	**მარნეულის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (UWSCG-ICB-MAR-02-2019)**
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	**2019 წლის 17 აპრილი (16:00 თბილისის დროით)**

1. საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის, ტრანში 6-ის დაფინანსებისათვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისთვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან ქ. მარნეულის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის („ობიექტი“). ობიექტი მდებარეობს სქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემო ქართლის რეგიონში, თბილისიდან დაშორებულია დაახლოებით 39 კმ-ით სამხრეთით.

სამუშაოების მოკლე აღწერა შემდეგია:

მარნეულის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში ჩაშვება. პროექტმა უნდა გაითვალისწინოს 2044 წლის 59,015 მოსახლის ექვივალენტის სრული ხარჯი და დაბინძურების დატვირთვები. ნაგებობა უნდა შედგებოდეს სატუმბო სადგურებისაგან, ფილტრებისაგან, აერაციისა და დალექვის ავზებისაგან, საოპერაციო და ადმინისტრაციული შენობებისაგან, ლამის შემასქელებლებისაგან, ა.შ. მშენებლობის პერიოდია 540 დღე (ექსპლუატაციაში ჩაშვების, ტრენინგისა და საოპერაციო მიღების პერიოდის ჩათვლით).

3. **საერთაშორისო ტენდერი (ICB)** წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურების მიხედვით. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისთვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

4. მინიმალური მთავარი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

   - **საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:** მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა **15 მილიონი აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტის ოდენობით,** რომელიც გამოითვლება დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტებისათვის მიღებული სერტიფიცირებული გადახდების ჯამით ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში **(ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 40%);**
   - **ფინანსური რესურსები:** მონაწილემ უნდა აჩვენოს რომ მის კომპანიას აქვს წვდომა ფულად სახსრებზე, ლიკვიდურ აქტივებზე, საკრედიტო ხაზზე ან სხვა ფინანსურ რესურსებზე. ფულადი სახსრების ბრუნვის მოთხოვნა ხსენებული კონტრაქტისათვის არის **1.85 მილიონი აშშ დოლარი ან მისი** ექვივალენტი (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: **თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა - 40%**).

- **მსგავსი ზომისა და ხასიათის კონტრაქტი: სულ მცირე ერთ (1) პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტში (8.9 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი)** მონაწილეობა, რომელიც წარმატებით ან არსებითად დასრულდა **ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში** და რომელიც შემოთავაზებული მომსახურებებისა და ნაგებობის მსგავსია, სადაც პრეტენდენტი მონაწილეობს, როგორც კონტრაქტორი, მენეჯმენტ-კონტრაქტორი ან ქვეკონტრაქტორი. მსგავსება ეფუძნება სამუშაოების ფიზიკურ სიდიდესა და ბუნებას, სირთულეს, მეთოდებს, ტექნოლოგიისა და სხვა მახასიათებლებს, როგორც ეს აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციის სექცია 6-ში - „დამკვეთის მოთხოვნები“.

5. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმებისათვის პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ შემდეგ ადრესატს:

   საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია:

მისამართი:	76b, ვაჟა-ფშაველას გამზირი
ოთახი/სართული:	მე-6 სართული
ქალაქი:	0186 თბილისი
ქვეყანა:	საქართველო
ტელეფონი:	(995 32) 291 90 60

   ელექტრონული ფოსტის მისამართი: i.mazanishvili@water.gov.ge; g.matiashvili@water.gov.ge. n.abuladze@water.gov.ge; kh.amilakhvari@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა:
   - უნდა მიიწერონ ზემოხსენებულ მისამართზე **UWSCG-ICB-MAR-02-2019**: მარნეულის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტების მოთხოვნით;
   - უნდა გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური:
     - 250 ლარის ან 100 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების UWSCG ოფისში მიღებისათვის 10:00-დან 17:00 საათამდე არარედაქტირებად CD-ზე (ელექტრონული ფორმით),
     - ან 500 ლარის ან 200 აშშ დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების არარედაქტირებად CD-ზე (ელექტრონული ფორმატი) კურიერის საშუალებით მიღებისთვის.

გადახდა შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით ან ელექტრონული გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
სს ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი
SWIFT CODE: LBRTGE22
GE67LB0113123325230095 GEL
GE40LB0113123325230096 USD

დანიშნულებით: „მოწვევა სატენდერო პაკეტზე #UWSCG-ICB-MAR-02-2019: მარნეულის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა“

7. მიიტანეთ თქვენი სატენდერო წინადადება:

- ზემოხსენებულ მისამართზე:
- ჩაბარების ბოლო ვადამდე ან ბოლო დღეს: **2019 წლის 17 აპრილი; 16:00 (თბილისის დროით)**
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად, როგორც სატენდერო დოკუმენტაციაში აღწერილი.

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვისთანავე, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.